

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი

8 აპრილი 2015 წელი

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო (შემდგომში - "სააგენტო"), წარმოდგენილი სააგენტოს თავმჯდომარის ირაკლი ქაშიბაძის სახით და, მეორეს მხრივ, სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (შემდგომში - "აკადემია") წარმოდგენილი აკადემიის პრეზიდენტის გიორგი კვესიტაძის სახით, (შემდგომში - "მხარეები"):

- აღიარებენ რა სამეცნიერო ინოვაციების და ტექნოლოგიების უმნიშვნელოვანეს როლს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პროცესში;
- ხაზს უსვამენ სააგენტოს უმნიშვნელოვანეს როლს ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური საქმიანობის განვითარებაში;
- ითვალისწინებენ რა, რომ აკადემიას გააჩნია მნიშვნელოვანი სამეცნიერო პოტენციალი ქვეყანაში საინოვაციო საქმიანობის განვითარებისათვის;
- თვლიან რა სამეცნიერო ინოვაციების და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის აუცილებლობას;
- ისწრაფვიან რა ქვეყანაში სამეცნიერო ინოვაციური ეკოსისტემის ფორმირებისაკენ და კომერციალიზაციის ხელშეწყობი პირობების შექმნისა და განვითარებისკენ;
- ხელმძღვანელობენ რა საქართველოს კანონმდებლობით,

თანხმდებიან შემდეგზე:

I. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია:

- თანამშრომლობა თავიანთი ფუნქციებისა და კომპეტენციის ფარგლებში ქვეყნისთვის პრიორიტეტული გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობისათვის ასევე სამეცნიერო ინოვაციების და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის სტიმულირებისათვის;
- თანამშრომლობა ბიოტექნოლოგიური და სხვა პრიორიტეტული მიმართულებით დარგობრივი ინოვაციების ცენტრების ჩამოსაყალიბებლად;
- ქვეყნის ტექნოლოგიური მოდერნიზაციის საკითხების მომზადებაში თანამშრომლობა;

- სამეცნიერო გამოგონებების და ინოვაციების კომერციალიზაციისათვის პოტენციური პროექტების იდენტიფიცირებისათვის თანამშრომლობა;
- ქვეყნის ექსპორტზე ორიენტირებული სამეცნიერო ტექნოლოგიური ინოვაციების იდენტიფიცირებაზე ერთობლივი მუშაობა;
- უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერების ქვეყნის ინოვაციური ეკოსისტემის ფორმირებაში ჩართვის საკითხებზე ერთობლივი მუშაობის განხორციელება;
- ქართველი მეცნიერების საერთაშორისო პროექტებში მათ შორის კერძო სექტორთან თანამშრომლობის ინტენსიობის გასაზრდელად პროცესების ხელშეწყობა.

II მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. აკადემია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დაეხმარება ინფორმაციის მოწოდებისა და კონსულტაციების გზით სააგენტოს სამეცნიერო ინოვაციური და ტექნოლოგიური პროგრამების ფორმირებაში;

2. მხარეები ერთობლივად უზრუნველყოფენ თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ფონდებთან რათა მოხდეს სამეცნიერო ინოვაციებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო მასშტაბით კომერციალიზაცია;

3. მხარეები ერთობლივად შეიმუშავენ პროექტებს, პროგრამებს და წინადადებებს მთავრობაში წარსადგენად;

4. მხარეები უზრუნველყოფენ ერთობლივი პროექტებისა და პროგრამების განხორციელების ორგანიზებას თავიანთ წარმომადგენელთა მონაწილეობით;

5. მხარეები ყოველწლიურად შეიმუშავენ თანამშრომლობის გეგმებს ინოვაციების და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის ხელშეწყობის მექანიზმების იდენტიფიცირების მიზნით, რომლებშიც განისაზღვრება ორმხრივი თანამშრომლობის კონკრეტული დეტალები;

6. მხარეები მემორანდუმის მიზნებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში შექმნიან ერთობლივ სამუშაო ჯგუფს.

III დავის გადაწყვეტა

მხარეთა შორის დავა წყდება ურთიერთ მოლაპარაკების საფუძველზე.


IV მემორანდუმის მოქმედების ვადა

1. მემორანდუმი ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან 5 წლის ვადით და ავტომატურად გრძელდება 5 წლით, თუ მხარეები წინასწარ არ განაცხადებენ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. მემორანდუმის ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია ერთი თვით ადრე ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

2. მემორანდუმში, მხარეთა თანხმობით, შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები, რომლებიც ფორმდება წერილობით და წარმოადგენს წინამდებარე მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.


3. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

საქართველოს ინოვაციებისა და
ტექნოლოგიების სააგენტოს სახელით

ი. 

თავმჯდომარე ირაკლი ქაშიბაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის სახელით



პრეზიდენტი გიორგი კვესიტაძე